მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 9 **1883—1896** 15 მაისი

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თვით . . .	3 მან.	12 თვით . . .	5 მან.
6 — . . .	2 —	6 — . . .	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲣᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ.

ბრძოლა სიმართლისა უმართლოებასთან, კეთილისა ბოროტებასთან, უპატიოსნებისა პატიოსნებასთან, სიბნელისა და უმეცრებისა განათლებასთან, შურიანობისა, ანგარებისა, გაუმაძღრობისა და სულმდაბლობისა პატიოსნებასა და კეთილგონიერებასთან ისეთი ჩვეულებრივი მოვლენა არის ამ ჩვენს დროში, რომ ეს მოვლენა, თითქმის, აღარავის აკვირვებს და აღარ აოცებს. გადაავლეთ თვალი კაცობრიობის ცხოვრებას და თქვენ დარწმუნდებით, რომ არ ყოფილა, არ არის და არც იქნება ისეთი დრო, რომ ეს არა სანატრელი მოვლენანი მოისპონ და არ იპარპაშონ, ვიდრემდის კაცობრიობა იქნება ამ ქვეყანაზე. ასე-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თია კაცობრიობის მოშლილი ბუნება. მაგრამ ბოლოს გამარჯვება მაინც სიმართლეს და პატიოსნებას რჩება. ხშირად, მართალია, სიმართლე და პატიოსნება იჩაგრება, ითელება და იჩრდილება უსამართლობით და უპატიოსნებით, მართალია ხშირად შურს და სულმდაბლურ მოქმედებას გააქვს ხოლმე ცხოვრების ბურთი, მაგრამ არა საბოლოოდ. მოდის დრო და აზვირთებული უსამართლოება, გაპარპაშებული მზაკვარობა და მადვალაკობა იმსობა, იქცევა და ქარწულდება.

შურიანობას, მადვალაკობას და გაზვიადებულ ამპარტავნებას ბევრი ღონე და საშუალება აქვს სიმართლისა და პატიოსნების წინააღმდეგ. კაცი გვირგვინია ღვთის ქმნილებისა, უფალია მთელი ქვეყნისა. კაცი აღჭურვილია ისეთი თვისებებით, რომ უძლეველია ქვეყნის ნივთიერი ძალიერებისაგან. იგი თავის გონებით, თავის კეთილის გულით ამაღლებულია ყველა ქვეყნიურ ცხოველებზე. იგი შექმნილია ხატად და მსგავსად ღვთისა. მაგრამ, თუ მან, საუბედურად დაჰკარგა მსგავსება და ხატება ღვთისა, მაშინ ეოველ ცხოველზე უარესი, სამაგალი და საშიშარიც არის, ვინაიდგან თავის გონებას ხმარობს საბოროტოდ. კარგია კიდევ, თუ ასე გაბოროტებული კაცი ნასწავლი არ არის; მაგრამ, ვაი მაშინ, თუ გაბოროტებული კაცი თანაც ნასწავლია. იგი მოჰყვება მელაობას, მლიქვნელობას და ისე ცბიერობს და თვალთმაქცობს, რომ დიდი გამჭრიახობა მართებს საზოგადოებას ამისთანა კაცის ასაწონ-დასაწონად, რომ თავისი შესაფერისი ბეჭედი დასვას მის საქციელს. თუ საზოგადოებამ თავისი შესაფერისი დადი არ დასდო ასეთ კაცს, იგი მრავალს შეაცდენს, მრავალს მოატეუებს და მრავალ მწუხარებას მიაყენებს თვით იმ საზოგადოებას, რომელსაც იგი ვითომ-და თავგამეტებით ემსახურება *).

თუ გონებით გაბოროტებულ კაცს გულიც გაბოროტებია, მაშინ საზღვარი აღარ აქვს მის უსამართლოებას, შურიანობას და მადვალაკობას. ის მზად არის მთლად შთანთქას მთელი საზოგადოების სიკეთე. ამისთანა თვისებათა მექონე კაცები ეოველთვის სჰობენ მეგობრობას და კავშირს იმისთანა პირებთან, რომელნიც მისი მიმართულების თანამოაზრენი არ არიან. პირიქით უახლოვდებიან ანუ იახლოვებენ იმისთანა პირთა, რომელნიც ცხადად თუმცა არ აჩენენ, მაგრამ მისი აზრისა და მიმართულების მიმდევარნი არიან, მათი გული გულს სცნობს და თვალი თვალს ხვდავს და უსიტყვოდაც ყველაფერს აცნობებენ ერთმანერთს. აი გაიტანეს ბურთი და მოედნიც დაინარჩუნეს. მაუურებელთ ჰგონიათ, რომ საქმე გათავდა და მორჩა. მაგრამ არა; თუ სიმართლემ და პატიოსნებამ გაიმარჯვა, იგი დიდსანს იმეფებს: იმეფებს სიმართლე იმ დრომდის, სანამ სიმართლის მოსამსახურენი სიმართლეზე იქმნებიან დამყარებულნი, და როცა სიმართლეს უმტკუნებენ მოსიმართლენი, მაშინ ბურთი და მოედანი ხშირად უმართლოებას რჩება. როცა უსამართლოებით აღივსება ჰი-

*) ძველ დროში ვისაც «კუდიანობას» შესწამებდენ, უთუოდ დადაღავდენ. ყველა დარწმუნებული იყო, რომ დაღის დასმის შემდეგ «კუდიანს» არავისთვის ვნების მოტანა აღარ შეეძლო. გასაოცარი აზრი ჰქონდათ შედგენილი „კუდიანებზე“. იმ ყრუ და ბნელ დროში. მაგრამ ალბათ გამოაშკარავებულ კუდიანს ვნების მოტანა აღარავისთვის შეეძლო!..

ნაკი კაცთა ცხოვრებისა, მაშინ თავს იჩენს სიმართლე და ჰაეროსნება და იგი უთუოდ დასძლევს ჭირველს.

სწორეთ ეს აზრები დაგვეებადა ჩვენ, როცა დაკვირდით თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრების სხდომებს 6, 7 და 8 ამ მაისის თვის რიცხვებში. ეს კრებები არის არწრუნისულ სასლებში, თეატრში. წარმოიდგინეთ, 30 წელიწადია სწორედ მას აქეთ, რაც თეატრში არ ყოფილვართ. უკანასკნელად დავსწარით თამაშეიეის ქარვასლის თეატრში შესანიშნავ თვალთ-მაქცის პროფესორის ბეკკერის მიერ გაძართულ წარმოდგენას. ესლაც თეატრში რომ შეველი ⅆ სცენისაკენ გავიხედე, შეკვრთი. სცენაზე იდგა თითქო ოცავე თვალთ-მაქცი პროფესორი ბეკკერი და სიტუვას ამბობდა დინჯათ, ორატორულად და ძლიერ თავმოწონედ, ის ბეკკერი იყო შუა ტანის კაცი, ჩასუქებული, მოხდენილად წვერ შეკრეჭილი და ეს სცენაზე მდგომიც, თითქის, მისი მსგავსი იყო. ვიკითხე მისი ვინაობა. მითხრეს. დავჯექი და დავუწეე სმენა. შუა სცენაზე ზის თავმჯდომარე, გარეგანი შეხედულებით მიმხიდველი ⅆ მხნე კაცი. ეკერდით უზის მდივანი. მარჯვნივ სტოლს შემომსხდარნი არიან წევრნი, ბანკის ზედამხედველი კომიტეტისა, რომელშიაც ჰოლიციის მოსელენიც ურევიან, და მარჯვნივ—ბანკის სამძრთველოს წევრნი; უკან სხედან გაზეთის რეპორტერები. თეატრი მთლად გატენილია, მაგრამ უფრო მაეურებლებით და არა ბანკის დამაარსებელთა და მსესხებელთაგან.

მოგეხსენებათ კარგად, რომ ბანკის კრებები დაწეებულია 21 აპრილიდან. სიტუვების და შესხმების წარმოთქმა ძლივს-ძლიერ ითით, თავსმჯდომარის მოხერხებით გათავდა 10-ს მაისს. რომ თავსმჯდომარეს ნება მიეცა შესხმების გაგრძელებისა, დარწმუნებული ვართ, რომ ამ შესხმების წარმოთქმა არ გათავდებოდა კიდეე ერთ თვეს.

მკითხველი, თუ დაენდო თბილისის გაზეთებს გარდა «კავკაზისა», არ იფიქროთ, რომ მან რაიმე ნამდვილი გაიგოს სხდომების ანგარიშისა. «ეფერია», რასაკვირველია, ეველას უმტკიცებს, რომ თუ რამე ითქვა შესანიშნავი და მოსაწონი, ითქვა მხოლოდ ჭკვაჭკვამისა და ამისი მომხრეებისაგანო. წინააღმდეგი მხარისაგან არც ერთი სასარგებლო და მართალი სიტუვა არ თქმულაო! «ნოვ. ობზრ.»-საც, რასაკვირველია, „ეფერიის“ მხარე უკავია, „თბილისის ფურც.“ ნამდვილ სიმართლეს ირჯება... იგი ორივე მხარეს ლანძღავს და თავის თავს იქებს. „კავკაზი“ არ უდგება მაინცა ⅆ მაინც რომელიმე მხარეს, მაგრამ ძლიერ მოკლე ანგარიშს იძლევა ბანკის კრებებისას. საზოგადოთ ამბობენ, ზომა არის მიღებული, რომ ბეეერი არ დაწერინონ ბანკის ბატონებზე და მმართველებზე.

საზოგადოება დიდის ამბით და მოლოდინით ემზადება ამ კრებებისათვის; ერთად ერთი საკაბარაკო შინ და გარეთ ეველასათვის ეს არის, და საშეუსაროთ თითქმის ეველას, კრებაზე მიმავალს ეს საქმე უმთავრეს მიზნად მიაჩნია და ჩვენი ქვეენის მთავარ მარდვად დაუსახავს. რადგანაც ასეთი იდბალი ერგო ბანკის საქმეს, რომ სხვაში მიმინებული და გაუჩინარებული საზოგადოება ამ შემთხვევისათვის როგორდაც ასერხებს დაზარებისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის დაღწევას. მით უფრო უნდა აქცევდენ ხელმძღვანელ-მოლაპარაკენი ეურადღებას ამ საქმეს და სწორედ ისე უნდა მიჰეავდეს მთელი მსჯელობა—კამათი, როგორც შეშვენის ამგვარ გარემოებას და ადგილს. უსმენთ მოლაპარაკეთ ტ ეჩრდილსაც ვერ ჭეროულობთ შიგ იმ ზრდილობისას, მართებულობისას, ერთიერთმანეთის პატივისცემისას—რომელნიც. დიდი ხანია, შეადგენდენ ეოველი ქართველი ადამიანის ღირსებას. გაძწვავებას იმ ზომამდე მიეღწევია, რომ ერთი მეორეს საწინააღმდეგოთ არ ერიდება უკადრის სიტეეებსაც-კი. საზოგადოებას, მსმენელ-მაეურებელთ სჩანს დიდის ხნიდან შეუჩვეიათ თავისი სმენა ; მეკვარი ეწვავე ტ სშირად ზრდილობას კარდასული მსჯელობისათვის და ამით წაუთამამებია კიდეც ჩვენი ორატორები. ისეა საქმე მომართული, თითქოს საზოგადოებას სიმართლე იქით ეგულებოდეს, სადაც მეტი გაძწვავება და ლანძღვა-გინებაა გამოთქმული. რასაკვირველია ამით კრებებს რადაც უცნაური ხასიათი ედებათ და მხოლოდ განცვიფრებაში მოდისარ ადამიანი და ეკითხები თავის თავს, რა არის მიზანი თავშეერილობის და მსჯელობა. ბაასის: ნუ თუ მხოლოდ ერთი მეორის უმართებულო დაცირება უნდა შეადგენდეს უსენაეს მიზანს, და არა ნაკისრი საქმის რეგინი ხელმძღვანელობა და გამღიდლა!.. ჩვენ არ ეურვეოოთ ბრძოლას აზრისა და მიმართულებისას, მაგრამ ეველაფერს ამას მართებულობის სასდვარი უნდა ჰქონდეს.

არაფერს ვიტეეით ბანკის ორატორებზე ჩვენის ძმრით, რომ მიდგომა არავინ შეგვწამის. ჩვენ მოვიეანდით ორატორების წარმოთქმულ ზოგიერი სიტეეებს და ამ სიტეეებიდან ეოველი მკითხველი ადვილად გაიგებდა, თუ რომელი მხარე უფრო დამეარებულია სიმართლეზე და პატიოსნურ საქციელზე. მაგრამ სიტეეები ორ-ორი და სამ-სამი დღით იეო გაგრძელებული და მათი დაწვრილებით დაბეჭდვა ეოვლად ეეუძლებელია. მაგრამ ნიმუშად მოვიეანთ რამდენიმე ადგილს გრძელი სიტეეებიდან და მათზედ მიცემულ პასუხს. დასკვნა მკითხველისათვის მიგვინდვია.

(გაგრძელება იქნება),

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისა და მათი დეპუტატების საეურადღებოდ.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების რიგის კრება იყო წარსულ წელში, ნოემბრის 28, 29 და 30 რიცხვებში. ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს ბევრ საყურადღებო საქმეებზე ჰქონდა მსჯელობა. ყველაზე უფრო საყურადღებო საგანი ამ კრებისა იყო სანთლის ქარხნის საქმე. წმინდა სანთლის ქარხნის საქმის გამგეობა და წარმოება ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა მიანიჭა თვით სამღვდელოებას და ამით მათმა მეუფებამ აღუსრულა სამღვდელოებას დიდი ხნის სურვილი. ამ კრების ეურნალები დამტკიცე-

ბულ იქმნენ მათი ყოველად უსამღვდელოესობისაგან 4 დეკემბერს, მაგრამ, სამწუხაროდ, სამღვდელოებას ამ ჟურნალების შესახებ ოფიციალურად დღემდის არა გამოცხადებია-რა. მხოლოდ დღეს გამოეცხადა იმერეთის სამღვდელოებას ამ ჟურნალების დამტკიცება და მასთან ისიც, რომ სამღვდელოების რიგის კრება ამ წელში არის დანიშნული 28, 29 და 30 მაისს. სამღვდელოების დეპუტატებს იბარებენ, როგორც ცირკულიარული მოწერილობა ამბობს, სასულიერო სემინარიის, ოთხ-კლასიანი სასწავლებლის და ეპარქიალური საქალებო სასწავლებლის საქმეთა გამო. ამასთან ცირკულიარში ისიც არის მოხსენებული, რომ ამ კრებაზე სამღვდელოების კრებას ექმნება მსჯელობა წმინდა სანთლის და საეკლესიო ნივთების საწყობის შესახებაკო.

ძლიერ საჭირო იყო სამღვდელოებისათვის, რომ წინ-და-წინ ყველა საბლაღოჩინო ოლქებში გაემართათ კრებები და ამ კრებებზე მოეფიქრათ და მოელაპარაკნათ წმინდა თაფლის სანთლის წარმოების შესახებ, რომ დეპუტატები დამზადებულნი მოსულიყვნენ კრებაზე. რადგან ასეთი კრებები არ მოხდება, ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე რჩევით და წინადადებით მივმართოთ სამღვდელოებას და ბლაღოჩინებს სანთლის წარმოების საქმის შესახებ. სრული იმედია, რომ ბლაღოჩინები საბლაღოჩინო კრებებზე გულდასმით და მოფიქრებით მოილაპარაკებენ და ერთ გამორკვეულ აზრს დაადგენენ ყველგან და ყველასათვის. ეს ძლიერ გაადვილებს სანთლის წარმოების საქმის გაუმჯობესებას. ეს საგანი იმდენად საყურადღებოა, რომ ღირს ამას სამღვდელოებამ მკაცრი ყურადღება მიაქციოს...

ჩვენ ბევრჯერ გამოგვითქვამს და ეხლაც ვიმეორებთ, რომ წმინდა სანთლის ქარხანა არის ერთად ერთი საიმედო წყარო ჩვენი სასულიერო სასწავლებლების არსებობისა და კეთილდღეობისათვის. შენიშნულია, სამწუხაროდ, რომ სადაც ეპარქიის სამღვდელოების ყურადღება არ არის მიქცეული სანთლის საქმის წარმოებაზე, იქ სანთლის ქარხნები საიმედო წყაროდ გამხდარან კერძო პირთა საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ. მართალია, ეს არ ითქმის იმერეთის ეპარქიის სანთლის ქარხნის წარმოების შესახებ, რადგან აქ სანთლის წმინდა შემოსავალი 5000 მანეთს ზევით არასოდეს არ ასულა, მაგრამ ამ ცოტა შემოსაელიდანაც სამი ოთხი ათასი მანეთი დაკარგულა და ეს ფულიც იმერეთის ეპარქიის ღარიბი სამღვდელოებისათვის ცოტა არ არის...

სამღვდელოებამ დიდი მადლობა შესწირა ყოველად სამღვდელო ბესარიონს, რომ მან სანთლის ქარხნის და მისი წარმოების საქმე სამღვდელებას გარდასცა. სამღვდელოებამ ჩვენის თავმჯდომარეობით შეადგინა კომიტეტი და მოგვანდო სანთლის ქარხნის და მისი საწყობის მმართვა-გამგეობა ჩვენი შეხედულებისამებრ და დაგვავალა 6 თვის განმავლობაში შეგვედგინა კანონები და წესდება სანთლის ქარხნის და საზოგადოდ წმინდა სანთლის კეთილად წარმოების შესახებ. კომიტეტმა შემდეგ რამდენიმე თხოვნისა ჩაიბარა სანთლის ქარხანა და საწყობი სანთლის ძველ გამგე პირთაგან. შესავალ-გასავლის წიგნი ჩაიბარა აპრილის დამლევს და მთელი ანგარიში წინა წლების სანთლის ქარხნის და საწყობის წარმოების შესახებ დღესაც არ აქვს ჩაბარებული წმინდა სანთლის ვაჭრობის საქმეს კომიტეტი განაგებს წარსული წლის 20 დეკემბრიდან. კომიტეტი, რასაკვირველია, მოახსენებს კრებას თავისს მოფიქრებას სანთლის ქარხნის და საზოგადოდ საწყობების გაუმჯობესობის შესახებ, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს რჩევა — წინადადებანი უსარგებლოდ არ დარჩება მათთვის და ფრიად დაეხმარება ამ საზოგადო საკეთილო საქმეს.

თუ რა წეს-წყობილება ყოფილა სანთლის ქარხნისა და მისი საწყობის საქმის მმართვა-გამგეობაში ძველ დროში, სანამ ეს საქმე სამღვდელოების ხელში გადმოვიდოდა, ეს ჩვენ მკითხველებს რამოდენიმედ შეტყობილი აქვსთ და რაც არ აქვსთ შეტყობილი, იმას ეხლა მოვუთხრობთ.

წინეთ სანთლის სასყიდლად სოფლებიდან სტაროსტები მიდიოდენ ქუთაისში. მაზრებში არსად სანთლის საწყობი არ იყო. თუმცა სტაროსტებს დანიშნული ჰქონდათ მანეთზე ორი შაური თავის სასარგებლოდ, მაგრამ ეს განკარგულება უკანონოკ იყო და სტაროსტებსაც ვერ შველოდა. მაგალითებრ, სტაროსტას უნდა ათი გირვანქა სანთლის ყიდვა. მას ეროგებოდა ერთი მანეთი და ვის შეუძლია, რომ 1 მანეთით საჩხერედან ან რაჭიდან ქუთაისში ჩამოვიდეს? ამნაირი წეს-წყობილებით არც სტაროსტები კმაყოფილდებოდენ და არც სანთელი იყო ყოველთვის ეკკლესიაში. მიდიოდა სტაროსტა სანთლის სასყიდლად და თვითონ ირჩევდა სხვა-და-სხვა ფასის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელს ეკლესიის სხვა წევრთა შეუტყობლად და გაუგებლად. ამ მიზეზით ხშირად ხდებოდა, რომ ყველა ფასის სანთელს ვერ შოულობდა კაცი ეკლესიაში. კელაპტრები ხომ მრავალს ეკლესიებში სრულებით არ ყოფილა. თანახმად ძველი წესისა, კერძო პირი კელაპტარ სანთელს გირვანქობით მანეთის ანგარიშით ვერ იყიდდა სანთლის საწყობში, სტაროსტას ვარდა. ეკლესიებში არ ჰქონდათ და მაზრებში საწყობები არ იყო წმინდა სანთლისა და ეს გარემოება ხელს უწყობდა მალულად კანონით აღკრძალული ყალბი სანთლის ყიდვას კერძო პირთაგან. ძველი წეს-წყობილებით წმინდა სანთლის საწყობში ღვერობით ყიდდენ სანთელს. ესეთი წეს-რიგი ერთი რომ კანონს არღვევდა და მეორეც დიდ ზარალს აძლევდა ეკლესიებს. კანონით წონით შეიძლება საწყობებში მარტო წმინდა სანთლის გაყიდვა ტ ღვერობით მხოლოდ ეკლესიებში და სხვაგან კი არც ერთ ადგილზე.

ეკლესიაში სახმარებელი სანთელი, მართალია, ღვთის შესაწირავია და სხვა მრავალი კეთილი მიზანიც აქვს, მაგრამ მაინც ვაჭრული საქმეა. კარგი ვაჭარი ყოველთვის ცდილობს, რომ თავისი საავაჭრო კარზე მიაყენოს მყიდველთა და ამით მათ გაუადვილოს ამ ნივთის მოპოვება და ყიდვა. მაგრამ ჩვენ აქ სანთლის შესახებ სულ წინააღმდეგს ვხედავთ. ერთად ერთი საწყობი წმინდა სანთლისა არის ქუთაისში. არც ერთ მაზრაში, როგორც ზემოთა ვთქვით, სანთლის საწყობი არ არის. ამით თვითონ ჩვენ ვუწყობთ ხელს მალულად ყალბი სანთლის ყიდვის გავრცელებას. მიუცილებლად საჭიროა, რომ მაზრებში და ზოგიერთ შორეულ დაბებშიაც სანთლის საწყობები დაარსდეს და ამით როგორც სტაროსტებს ისე საზოგადოებას გაუადვილდეს სანთლის ყიდვა.

რაიცა შეეხება სანთლის ქარხნის მმართვა-გამგეობას, ამის შესახებ ჩვენ ჩვენს წინადადებას თვით სამღვდელოებას წარვუდგენთ და, იმედია, სანთლის მმართვა-გამგეობა რიგიანად მოგწყობა, დღეს უწმ. სინოდს გადაუწყვეტია, რომ იმერეთის სამღვდელოების გარდახდეს წელიწადში 5000 მან. სასულიერო სემინარიის შესანახავად. იმერეთის სამღვდელოებას ამ შემთხვევაში დიდი იმედი უნდა ჰქონდეს სანთლის ქარხნისა და ზოგიერთი შეძლებული ეკლესიებისა, თორემ ამ ფულების გარდახდა, ვიდრემდის ჯეროვანი აღთქმული ჯამაგირები არ დაენიშნება სამღვდელოებას ძლიერ საძნელოდ დაეჩრება.

სასწავლებლის საქმეების შესახებ ცირკულიარში მოხსენებულია კიდევ, რომ სამღვდელოებას მსჯელობა ექნება საეკლესიო ნივთების საწყობის შესახებაც. ორი წელიწადია, თითქმის, რაც საეკლესიო ნივთების საწყობი გახსნეს ქუთაისში დეკ. გ. ცაგარეიშვილმა და იპოდ. ი. წ—მა. ამ საწყობის გახსნისათანავე იმერეთის სამღვდელოება ცირკულიარული მიწერილობის ძალით ხელწერილით შეკრეს, რომ ყველა საეკლესიო ნივთები უთუოდ ამ საწყობში ეყიდნათ. ამ საწყობის მოგებას გაბრიელის საქალებო სასწავლებელს პირდებოდენ. სამღვდელოების უკანასკნელ კრებაზე დიდი უკმაყოფილება გამოთქვა ამ საწყობის შესახებ და მთელმა კრებამ ითხოვა, რომ თუ ეს საწყობი ეპარქიის სამღვდელოების არის, სამღვდელოების არჩეულნი პირნი უნდა განაგებდნენ საწყობსო და ნივთებსაც სამღვდელოების გარდაწყვეტილების თანახმად უნდა ყიდდენო და თუ კერძო პირთა არის, ყველა სამღვდელო პირს და სტაროსტებს ნება უნდა ჰქონდესთ, რომ სადაც უფრო იაფად იშოვნიან ნივთებს, იქ იყიდონო. ამ უკმაყოფილების გამოცხადების შემდეგ რადაცა ანგარიშიც დაუბეჭდავთ ამ საწყობის შესახებ, მაგრამ საქვეყნოდ არ არის გამოცხადებული და ეს ანგარიშიც, მართალი უნდა სთქვას კაცმა, ძლიერ გაუგებარია. გამოდის ანგარიშით, რომ საწყობს ერთ წელში 16000 მანეთის „ობოროტი“ ქონებია და 4000 მ. მოუგია. გამოდის ანგარიშით, რომ მანეთზე თითქმის 25 კაპ. მოგება აუღიათ. 25 კ. მოგება მანეთზე ძლიერ სამძიმოა და ვგონებ საგანგებო საწყობებში კი არა, ყოველ მაღაზიებში დათანხმდებიან ოც კაპ. მოგებასაც!...

საეკლესიო ნივთების საწყობის გამართვა ძლიერ კარგი საქმეა, მაგრამ ზოგ ადგილას ეს საწყობები საზარალოც გამოდგენ სამღვდელოებისათვის; და ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა საეკლესიო ნივთების ყიდვა-გაყიდვა გამოუცდელი კაცების ხელში ჩავარდება. სწორეთ რიგია, რომ ამაზე სამღვდელოებამ კარგად მოიფიქროს და წესიერად მოაწყოს ეს საქმე. საეკლესიო ნივთების საწყობების შესახებ ჩვენ მრავალჯერ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი. ჩვენს ორგანოში და იმედია სამღვდელოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ყველა იმ მოსაზრებათა, რაც ითქვა და დაიწერა ჩვენგან ამ საგნის შესახებ.

დეკ. დ. ღამბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული გალობის მდგომარეობა.

ქართული საეკლესიო გალობა და ღაღადება თუმცა, დიდი ხანია, შემცირდა და ზოგან სრულიადაც მოისპო იგი ქართველთა ეკკლესიებში, მაგრამ ვისაც კი შერჩა ჩვენი გალობის ცოდნა და ხსოვნა, ეს გალობა დღემდე წმინდად და შეუბღალავად არის დაცული. წინანდელ დროში ქართული გალობა ყველგან გავრცელებული იყო და მისი სწავლის მსურველებიც ბევრნი იყვნენ. უმეტეს ნაწილად გალობის სწავლას ეტანებოდენ სამღვდელოთა და თავად-აზნაურთა ოჯახები ორივე სქესისა. იმ დროს კარგს და დახელოვნებულ მგალობლებს დიდ პატივსა სცემდენ. ამასთან მათ ჰქონდათ კარგი შემოსავალი, ჯამაგირი და საჩუქრებიც ეძღოდათ; მაგრამ ეს პატივი და დიდება დროთა გარემოებამ ჩამოართვა მათ, რაისა გამო იმათაც გული აიცრუეს ქართულ გალობაზე. მოსწავლეთა რიცხვი თან-დან-თან შემცირდა და გალობის სწავლაც მოისპო. ამ დიდ მნიშვნელოვან მამა-პაპეულ განძის და ეკკლესიათ განმბრწყინვალებელის ცუდი მდგომარეობა იგრძნო ქართველთა სამღვდელოებამ და განიზრახა, რომ რაიმე გზით კვლავ აღედგინა ქართული საეკკლესიო გალობა. ამ მიზნით თბილისში შესდგა კომიტეტი, გასინჯეს ნოტებზე გადაღებული საგალობლები, დარწმუნდნენ მათ სიკარგეში და შეუდგენენ თავიანთი განზრახვის განხორციელებას; მაგრამ, მოუხერხებლობისა გამო, მათმა სურვილმა ვერ მიაღწია დანიშნულ მიზანს და თავი მიანებეს ამ საქმის წარმოებას. ეს გარემობა ვაცნობეთ იმერეთის სამღვდელოებას, რომელსაც უკვე მოსმენილი და შეგნებული ჰქონდა ნოტებზე გადაღებული მთელი წირვის გალობა და მიუცილებელ საჭიროდ რაცხდა სრულ საეკკლესიო გალობის ნოტებზე გადაღებას. შესდგა სამღვდელოთა კრება ქუთაისში. აირჩიეს კომიტეტი და თავმჯდომარედ კომიტეტისა დეკ. დავით ღამბაშიძე. კომიტეტმა მ. დეკ. დავით ღამბაშიძის მეთაურობით საქმე შეენიერად წაიყვანა. დამაწერინეს 400 ნაჭერი სხვა და სხვა საგალობელთა, რომელნიც ჩაგბარე ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს გაბრიელს. მ. დეკანოზი ღამბაშიძე ბევრს ეცადა, რომ ეს საგალობლები დაბეჭდილიყო ან თბილისში და ან რუსეთში. დავეკითხეთ ნოტის მბეჭდავთ ბესელს, იურგენსონს და სხვებს, მაგრამ ძლიერ ძვირად ჯდებოდა ამ საგალობელთა დაბეჭდვა: 6000—7000 მანეთამდის გვთხოვეს და გარდა ამისა კორექტორიც თან უნდა გაჰყოლოდა დასაბეჭდს. ამ მეტის-მეტი სიძვირის გამო ნოტებზე გადაღებული საგალობელნი დარჩნენ დაუსტამბავად. 1890 წელს ჩამოვედი თბილისს საცხოვრებლად. აქ გავიცანი ერთი პატარა წრე ღარიბ მოხელე მოჯამაგირეთა. ამ წრემ ჩემის ხელმძღვანელობით მოკლე დროში შეენიერად შეისწავლა ნოტების კითხვა. მათ იწყეს ნოტებით გალობა და ისე შეუყვარდათ იგი, რომ უკვე დაწერილი 400 საგალობელი სკნეს არა საკმარისად საეკკლესიო მოთხოვნილებისათვის; შეჰკრებეს თავისი წვლილი, ზოგი შემოწირულებაც გაუჩნდა ამ კეთილ საქმეს, მომცეს ცოტაოდენი საშვალება, წავედი გურიაში ცნობილს მგალობელ ანტონ დუმბაძესთან, და ორი წლის განმავლობაში დავსწერე სრული მთელი წლის საგალობლები თავიანთ რვა ხმით (ოკტოიხი) და მრავალი ჭრელებიო; ასე რომ ჩვენი საეკკლესიო გალობა სრულად არის ახლა დაწერილი. ამ პატარა წრემ, რომელიც ახლა შესდგება ოთხი ამხანაგისაგან, გამოიწერა ნოტის ნიშნები ჭ მათი საჭირო მასალები. ჩემი თვალყურის დევნით და კორრექტორობით დაიბეჭდა ერთი მდიდრული ლიტურგია იოანნე ოქროპირისა მღვდლისა ჭ მღვდელმთავრისათვის. ვამბობ „მდიდრული“ იმისათვის, რომ წიგნი შეიცავს 174 გვერდს და მოთავსებულია შიგ სამ-სამი, ოთხ-ოთხი და ხუთ-ხუთი სხვა-და-სხვანაირი საგალობლები ერთი და იგივე გალობისა: ესე იგი „რომელი ქერუბიმნთა“ ხუთნაირია, „წმიდაო ღმერთო“ ხუთნაირია, „მოვედით თაყვანი ვსცეთ“ ოთხნაირი, „უფალო შეგვიწყალე“ 16-მეტნაირი, მღვდელმთავრის შემოსვლის დროს სამნაირი და სხ. და სხ. ეს წიგნი ღირს ერთ მან. დარწმუნებული ვართ, რომ იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოება, როგორც ამ საქმის დაწყებაში გამოიჩინა მან დიდი სურვილი საგალობელთა ნოტებზე გადაღების შესახებ, ისეთივე სურვილს და დახმარებას გამოიჩენს ახლაც ამ საქმის განსახორციელებლად. (გურიის ეპარქიას ამ საქმისათვის არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია?!).. აი რაში მდგომარეობს ეს დახმარება: ეკკლესიისათვის გამოიწერენ თითო წიგნს, რომელიც იმდენად იაფია, რომ მისი ხარჯი არავის არ შეაწუხებს. თავისი

ქადაგებით, რჩევით და მზრუნველობით გაავრცელებს მის სწავლას სასწავლებლებში, სამრევლო სკოლებში, ეკლესიების მსახურთა შორის და სამწყსოთა შორისაც. რომ ეს ნოტები ადვილად შეისწავლონ მსურველთა, ამისათვის მე გამოვეცი სახელმძღვანელო, რომელიც ძლიერ მარტივად და ადვილ გასაგებად არის შედგენილი ქართულს ენაზედ. ვინც ამ სახელმძღვანელოს რიგიანად შეისწავლის, იგი ადვილად შეიძლებს ნოტების კითხვას, ნოტებით გალობას და ლოტბარობასაც. წიგნების ფასი მოგვცემს საშუალებას ვბეჭდოთ შემდეგი წიგნებიც. და ამ გვარად ჩვენი გალობა გავრცელდება და ეკკლესიებში მიიზიდავს მართლ-მორწმუნეთ, რომელთაც შთაუნერგავს გულში და სულში სჯულისა და კაცობრიობის სიყვარულს და განამტკიცებს მათში სარწმუნოებას.

ფილიმონ ქორიძე.

(დასასრული შემდეგში)

ზენდოგა.

რაც ხანი მქონდა ამ სოფლად ყოფნის,
უკვე განვლილ იმის კვლევაში,
რომ ტრფობა ძმობის, გრძნობა ერთობის
მეპოვა ჩვენში, ვისამე გულში.

—

მაგრამ, ამაოდ, სად არის ძმობა?
ანუ აჩრდილი ძმური ერთობის;
ჩვენ შორის მკვიდრობს შური და მტრობა,
გულდრეკის კმევა გაუტანლობის.

—

ქრისტიანობის მნათობსა მცნებას,
სიმართლეს ჩვენში არა სდევს ფასი,
ერთი თუ სადმე თაყვანს სცემს იმას,
ფეხქვეშ ითელავს ათი და ასი.

—

ღმერთო! რას ჩადის ადამიანი?!
როდის შეიგნებს თვის მოწოდებას,
როდის გაიხდის ცხოვრების ბურჯად
შენის ძისაგან მოცემულს მცნებას?

—

როდის უარჰყოფს იუდას მზგავსად
თვისთა მოძმეთა ამბორის ყოფას,
როდის თაყვანს-სცემს წმინდა სიმართლეს,
ზიზღით უარჰყოფს ფარისეველობას?

—

როს ეღირსება ამ ქვეყნად მართალს,
სიმშვიდით განვლოს თვისი ცხოვრება,
ყველასთან ჰპოვოს ნათ-საყუდელი,
ძმური კავშირი — წრფელი ერთობა...

—

ჩემი დევიზი იყო სიმართლე...
მზაკვრობას ჩემში არ ჰქონდა ბინა,
თუმც ამ იდეით ცხოვრება ჩემი
დევნული იყო გარეთ, თუ შინა.

—

დღეს როს გავდივარ ამა ქვეყნიდან,
სხეულს შორდება ტანჯული სული,
ცრემლით ესთხოვ უფალს, მან მიანიჭოს
მდევნელთა ჩემთა შენდობა სრული...

ქაიხოსრო გელოვანი.

მუშის სიმღერა.

მიწის მუშა ვარ საწყალი
გლეხ-კაცი ვიგინდარაო,
დიდ-კაცი არ ვარ, თქვენც იცით
მათთან ვინ დამდარაო?

—

ჩემი სიმდიდრე, დიდება
თოხი, ნამგალი, ცელია,

ჭირიმე გაზაფხულისა,
მოვიდეს ბარემ, ველია.

—

რომ დედა-მიწამ თვის გული
გამეხსნას დასახნავადა,
დავთესო პური, სიმიდი,
ლომი და ქერი უხვადა.

—

შრომისთვის გავჩნდი ამ ქვეყნად,
ვშრომობ, მდის ოფლის ღვარია,
მრწამს ჩემი სჯული მარადის
და ტკბილი მაცხოვარია.

—

ჩემი ნაშრომით პურდება
დიდ-კაცი, ერი, ბერიო,
მოყვრისთვის არ მშურს სიკეთე,

. . . . . .

—

ხან კი მაქვს საზრდო საყოფად,
ხან მიჭირს ლუკმა პურიო,
თავის ხვედრს ვემორჩილები,
ბედს მაინც არ ვემდურიო.

—

თუ სხვას მოვსტაცო რამე მე,
ვეღარ ვეღირსო სამოთხეს,
ვერ მზიდოს მიწამ, გამისკდეს,
ცოცხლად ჩავარდე ჯოჯოხეთს.

—

სხვისი ქონება თუ მსურდეს
მზე გამიშავდეს, მთვარეო,
ვერ გავიხარო ამ ქვეყნად,
სიცოცხლე მეენეს მწარეო.

—

ტანზე მომიდვან გენია,
თუ დავგმო მეგობარია,
შემთუთხონ მყოალი კუპრითა,
მასვან სასმელი მწარია.

—

მაცხოვარო, გეხვეწები
გადმომხედე ტანჯულ მუშას,
ვისაც შენ მწყდ ეყოლები.
იმის საქმეს რა ჩაფუშავს.

გრიგოლი გუ—ნავა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საერწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

მოძღვარი ეკლესიისა.

გარეშენილი ცხოვრება ეკლესიის მოძღვრისა არ უკეტავს მორწმუნეთ ცხოვრების გზას.

(რუსულიდგან).

ყოველი კაცი ცოდვილია. არ არის იმისთანა კაცი, რომელსაც ცოდვა არა ჰქონდეს, რადგანაც ყველა ჩვენგანი ისახება და ჩნდება ცოდვებში. „ესე რა უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“,—ამბობს წმ. მეფე და წინასწარმეტყველი დავითი. წმიდა არს მხოლოდ უფალი იესო ქრისტე. „ერთ არს წმიდა, ერთ არს უფალი, იესო ქრისტე“... გალობს წმიდა ეკლესია. ამისათვის ეკლესიის მოძღვარი, თუმცა-და იგი მაღალი პირია, მაგრამ ცოდვილია, როგორც ყოველი კაცი. როგორადაც სხვა ხალხი, ასევე მოძღვართა-განნიც ერთი უფრო მომეტებულად ცოდვილია, მეორე—ნაკლებად; ზოგს მათგანს უფრო მომეტებულადა აქვს სულიერი სისუსტე და ცოდვების მიმართ მიღრეკილება, მეორეს—ნაკლებად. მაგრამ ეს სულიერი სისუსტე და ცოდვები, რამდენადაც დიდნი უნდა იყვნენ იგინი, მაინც სრულებითაც არ უშლიან ეკლესიის მოძღვარს ცხოვრების გზაზედ დაყენოს თვისი სამწყსო. თუ რომ მორწმუნეთ მხოლოდ უცოდველნი მოძღვარნი აყენებდნენ ცხოვნების გზაზედ, თუ მხოლოდ მათ შეეძლოთ თვისი სამწყსოს ცხოვნება, უეჭველია, არც ერთი ქრისტიანი არ უნდა იყოს ცხოვნებული, რადგანაც უცოდველი მღვდელი (როგორც კაცი) არც არის. და მართლაც, მღვდელნი განკერძოებით თვის ძალა-შეძლებით კი არ აცხოვნებენ კაცს, არამედ იმ მ ა დ ლ ი თ, რომელიც გარდაეცემის მორწმუნეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვთისაგან მოძღვართა საშუალებით წმ. საიდუმლოთა აღსრულების დროს. მადლი კიდევ ღვთისა, რომელიც აუცილებელად საჭიროა ჩვენის ცხოვნებისათვის, მოძღვრის გაფუჭებულის ცხოვრებით და მის ცოდვებით არა მცირდების, და არც ჰკარგავს თვისს ძალას: იგი ერთნაირად ჰშველის კაცს ცხოვნების საქმეში, მიუხედავად იმისა — გვეძლევა იგი გარყვნილის და ცოდვილის მღვდლისაგან თუ უმანკო — უცოდველისაგან. ერთი განდეგილი არსად არა გადიოდა თვის სიცოცხლეში თავისი სენაკიდგან. მასთან ხშირად მოდიოდა მახლობელი ეკკლესიის მღვდელი საზიარებლად. ერთხელ ვიღაცამ მოატყუა ეს განდეგილი, რომ ის მღვდელი მეტად გარყვნილი და უღირსი კაცი არისო. განდეგილმაც დაიჯერა ეს ჭორები და შემდეგში, როდესაც ეს მღვდელი ჩვეულებრივ მივიდა მასთან წმიდა ზარძიმით, მან კარები აღარ გაუღო, — იფიქრა: ვაი თუ იმისაგან მიღებულს წმიდა საიდუმლოს მადლი აღარ ჰქონდესო. მღვდელი გაბრუნდა უკანვე, და ამ დროს განდეგილს მოესმა ხმა: „წამართვა ხალხმა სამართალი ჩემი!“ ცოტა ხნის შემდეგ ნახა მოჩვენება: მან დაინახა ოქროს ჭა, რომელშიაც მეტად შვენიერი წყალი იდგა. აქვე იყო ოქროს ჭურჭელი და ოქროსავე თოკი. ვიღაც დაწყლულებული, მუწუკებით სავსე კაცი იღებდა ჭიდგან წყალს და ავსებდა ჭურჭელს. განდეგილს უნდოდა დაელია წყალი, მაგრამ თავი შეიკავა, რადგანაც მას იღებდა დაწყლულებული კაცი. მეორედაც მოესმა ხმა: „რატომ არა ჰსვამ მაგ წყალსა? რა საქმე გაქვს შენ იმასთან, თუ ვინ იღებს წყალს? წყალი ხომ არა ფუჭდება იმით, რომ მას იღებს დაწყლულებული კაციო?“ გამოეღვიძა განდეგილს და მაშინვე მიხვდა, რომ ძლიერ შესცდა იგი, რომ არ მიიღო მის მიერ უკან გაბრუნებულის მღვდლისაგან წმ. ზიარება, გინდ იგი ცოდვილზე უფრო ცოდვილი ყოფილიყო. შემდეგ ამისა ხელ-ახლად მოუწოდა მღვდელს და სთხოვა, რომ მას ჩვეულებრივ ევლო მასთან წმ. ზარძიმით.

მადლი ღვთისა არამც თუ არა ჰკარგავს თვის ძალას მოძღვართა ცუდის ყოფაქცევით, არამედ თვითონ მათთაც ჰკურნავს იგი, როდესაც გარდასცემენ მას მორწმუნეთ. მოთხრობა არის წმ. მარკოზ ეგვიპტელზედ, რომ იგი 30 წელიწადს კარში გამოუსვლელად ჩაკეტილი იჯდა თვის სენაკში, მასთან ხშირად მოდიოდა სოფლის მღვდელი წმ. ზიარებით. ეშმაკმა გაივლო გულში შეეცდინა წმიდა მოხუცი. მან შთააგონა ვიღაც ბნედიანს კაცს წასულიყო წმ. მარკოზთან, ვითომ-და სალოცავად. იგიც მივიდა მოხუცთან და ეშმაკისავე შთაგონებით წამოიძახა: „მამაო! შენი მოძღვარი ძლიერ ცოდვილი კაცია, -- აღუკრძალე შენთან სიარულიო“. წმ. მარკოზმა მიუგო: „შვილო! მაშინ, როდესაც ცუდს საქმეს და სიბილწეს ყველა თავიდგან იშორებს, შენ იგინი ჩემთან შემოგაქვსო. საღმრთო წერილში სწერია: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“. გინდ დიდი ცოდვილიც იყოს იგი მოძღვარი, მაინც აცხოვნებს მას უფალი, რადგანაც ნათქვამია: „ულოცევდით ერთი ერთსა, რათა განიკურნეთ“. შემდეგ ამისა წმ. მოხუცი შეევედრა ღმერთსა, განდევნა კაცისა მისგან ბოროტი სული და განკურნებული გაგზავნა. ხოლო როდესაც მისი მოძღვარი ჩვეულებრივ მოვიდა მასთან, წმ. მოხუცმა იგი დიდის სიხარულით მიიღო, და ღმერთმა, იხილა რა წმ. მოხუცის მტკიცე სარწმუნოება და სულგრძელობა, მოუვლინა მას სასწაული: როდესაც მოძღვარი წარდგა წინაშე წმიდისა ტრაპეზისა, მოხუცმა შენიშნა, რომ ციდგან ჩამოვიდა ანგელოზი ღვთისა, დაადო მან ხელი მოძღვარს, რის შემდეგ იგი (მოძღვარი) გარდაიქცა თითქმის ცეცხლის ბოძად. წმ. მარკოზი დიდად განცვიფრებული უცქეროდა ამ მოჩვენებას. უცბად მოესმა ხმა „კაცო! რას გიკვირს ეგე? თუ-კი ქვეყნიური მეფე უკრძალავს თვისს ხელ-ქვევითთ, ანუ მოსამსახურეთ, რომ უწმიდურნი და უსუფთაონი არ მივიდნენ მასთან, რამდენათ უფრო აღუკრძალავს ზეციური მეფე? ნუ თუ იგი არ განსწმედს თვის მოსამსახურეთ, წარდგომილთ წინაშე მის წმიდისა ტრაპეზისა?“

ასე, სრულებითაც არ უნდა შესცდებოდეთ იმითი, თუ ვინიცობაა ჩვენს მღვდელს აქვს რაიმე კაცობრიული სისუსტე და ზნე — ცოდვები, კიდეც რომ იყვნენ იგინი მეტად დიდნი. მხოლოდ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ისე, როგორც წესია. ჩვენი საქმე არ არის, თუ რამდენად ცოდვილია მღვდელი. იგი თავის ცოდვებისათვის თვითონვე აგებს პასუხს ღვთის წინაშე. მას არ უჭირს თქვენი სამართალი და განსჯა, იგი თვითონ წარსდგება თვის მოსამართლესთან. ხოლო ერთი არ უნდა ვჰქმნათ: ნუ მივბაძავთ მის ცხოვრებას, თუ დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ იგი უწმიდურია და გარყვნილი. გარნა მტკიცედ აღვასრულოთ ყველა ის, რასაც-კი გვიბრძანებს და რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედაც დაგვარიგებს; რადგანაც არასოდეს იგი ცუდს საქმეზედ არ დაგვაყენებს, რაც უნდა ბოროტი და გაფუჭებული კაცი იყოს. წმიდა ტიხონი ზადონელი ამბობს: „შენ არ მისცემ ღვთის წინაშე პასუხს იმაზედ, რომ მოძღვარი ცუდათა სცხოვრობს და არ ასრულებს, რასაც სხვას ასწავლის. რა შენი საქმეა, თუ იგი ცუდათა სცხოვრობს? თუ იგი ცუდად სცხოვრობს, შენ უყურე და აღასრულე მხოლოდ ის, რასაც იგი გასწავლის, როგორც იგი დაგარიგებს, ხოლო მის ცხოვრებას-კი არ მიჰბაძო“.

მღვდელი ალ. ჯალ—ლი.

სიტყვა

ამაღლების დღესა,

თქმული განსვენებულის იმერეთის ეპისკოპ. გაბრიელის მიერ.

და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა (მათ. კჱ, კ).

წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა მოგვითხრობს სახარებასა შინა თვისსა, რომელ ოდეს უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემან მეორმოცესა დღესა შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა თვისისა გამოიყვანა მოციქულნი თვისნი იერუსალიმიდგან ბეთანიამდე, მისცა მათ უკანასკნელი დარიგება, აღუთქვა მათ მოვლინება ნუგეშინის-მცემელისა, აკურთხა იგინი და ამაღლდა მათ წინაშე ზეცად. მაშინ მოციქულნი მისნი თაყვანის-ჰსცემდეს მას და მოიქცენ იერუსალიმად სიხარულითა დიდითა, აქებდეს, აკურთხევდეს და ადიდებდეს ღმერთსა (ლუკ. თავ. კდ, მუხ. ნგ). რას ნიშნავდა, ძმანო ქრისტიანენო, ესრეთი სიხარული მოციქულთა? იგინი მოაკლდენ ხილვასა საყვარელისა თვისისა მოძღვრისა. დარჩნენ სოფელსა შინა გარემოცულნი მრავალთა მტერთა და განსაცდელთა მიერ. მათ უთუოდ არ დაავიწყდათ სიტყვა მაცხოვრისა, რომელ იგინი დარჩებიან ვითარცა ცხოვარნი შორის მგელთა, და იქმნებიან მოძულებულნი და დევნულნი სოფელსა შინა; გარნა არა მიმხედველნი ამისა, იგინი გაეყარნენ რა მოძღვარსა თვისსა და დარჩნენ რა ობლად, ნაცვლად შეწუხებისა, სიხარულითა დიდითა მოიქცევიან იერუსალიმად და მარადის აქებენ და ადიდებენ ღმერთსა. რამ გააჩინა მათ გულში ეს სიხარული? ესრეთი სიხარული მათ იგრძნეს მისთვის, რომელ უფალმან მისცა მათ აღთქმა: „აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა“. მოციქულთა ცხოვლად იგრძნეს, რომელ უფალი არა თუ განეშორა მათგან, არამედ უმეტესად მიეახლა მათ. თვალნი მათნი აღარა ხედვიდენ მაცხოვარსა, გარნა გული მათი გრძნობდა, რომელ იგი არის მუნ, მათ შორის. აჰა სასწაული ღვთაებრივისა სიყვარულისა და მადლისა! მაცხოვარი უფალი ამაღლდა ზეცად, გარნა არა განეშორა მოწაფეთა თვისთა; იგი მიეფარა თვალთა მათთაგან; გარნა მიეახლა გულთა მათთა. ესრეთი თვისება აქვს კაცის გულსა, თუ იგი არის აღვსებული წმინდა უმანკო სიყვარულითა! როდესაც პირი, ანუ საგანი, მისგან შეყვარებული მარადის არის მის წინაშე, ყოველ დღე მასთან იქცევა, მაშინ მას არა აქვს ესოდენი ფასი; გარნა ოდეს იგი განეშორება მისგან, მაშინ კი გული მისი შეიტყობს, რა ძვირფასი იყო იგი მისთვის, მაშინ უმეტესად შეიყვარებს იგი მას, და ესრეთ ხორციელი განშორება სულიერად დააახლოებს მათ,—ესრეთვე შეემთხვია მოწაფეთა ქრისტესთა. როდესაც უფალი ამაღლდა და მიეფარა თვალთა მათთაგან, მაშინ უმეტესი იგრძნეს მათ სიყვარული მისდამი, მაშინ უმეტესად დააფასეს მათ, ვინ იყო იგი, და ესრეთი სასოება მისდამი გაჩნდა გულთა შინა მათთა, რომელ იგინი არათუ სწუხდენ, არამედ იხარებდენ და ადიდებდენ ღმერთსა.

ესრეთი გულითადი გრძნობა მოციქულთა იესო ქრისტეს მათ შორის მყოფობისა და არსებისა განამხნევებდა და მოათმენინებდა ყოველთა მათ საშინელთა ჭირთა და განსაცდელთა, რომელი შეემთხვეოდა მათ. მოციქულნი ცხოვლად გრძნობდენ, რომ უფალი იყო მათთანა, იგი თანა მავალი იყო ყოველთა შინა მოგზაურობათა, იგი ხედვიდა მათსა შრომასა და მოღვაწეობასა.

გარნა, ძმანო ჩემნო ქრისტიანენო! სანუგეშო იგი სიტყვა: „აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ,“ არა იყო თქმული მხოლოდ მოციქულთა მიმართ, ვინაიდგან მოციქულნი აღსრულდნენ თავის დროზედ; გარნა უფალი იტყვის: „მე თქვენთანა ვარ ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“; მაშა სადამე აღთქმა იგი მაცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარმან მისცა ყოველთა მორწმუნეთა, ქრისტიანეთა, რომელნი იქმნებიან ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა. და ჭეშმარიტადაც იგივე უფალი ახლაცა არის ჩვენთანა, მისი მადლი, მისი სიტყვა, მისი ქადაგება, მისი სიყვარული ახლაცა არის და მოქმედებს ჩვენ ქრისტიანეთა შორის; თვითონ მან სთქვა: „მამა ჩემი მოაქამომდე იქმს და მეცა ვიქმ“. გარნა თუ შენ არ გრძნობ მისსა მყოფობასა, თუ გული შენი არ არის მოხარული, ვითარცა გული მოწაფეთა იყო გახარებული, როდესაც ესმა მათ ეს სიტყვა: „მე თქვენთანა ვარ“, მაშასადამე ერთი რომელიმე მიზეზი გაბრკოლებს შენ. იგი მახლობლად შენდა არს, გარნა შენ არ ფიქრობ მასზედა, არ გიყვარს იგი და მისთვის არ იცი მისი დაახლოება. განა არ მომხდარა ესრეთი მაგალითი, რომელ რომელიმე შენი მოყვასი ჰსცხოვრობს შენთან ერთს სახლში, მარადის შენ წინაშე არს, გარნა შენ მასზედა არ ფიქრობ, თვალ ყურს არ აძლევ და თითქმის არ ფიქრობ, რომ ის დაახლოვებული არს შენთან. სულიერი სიყვარული განჩდება თავისუფლებით და არა იძულებით. შენ თვითონ უნდა მოინდომო, ისურვო დაახლოება იესო ქრისტეზედ; გული შენი თავისუფლად უნდა ეძიებდეს მას, და მაშინ იგრძნობს მისსა მყოფობასა.

რა სახით უნდა შევიდეს უფალი იესო ქრისტე შენს გულში, როდესაც იგი არის აღვსებული ყოვლითა ამაოებითა დ ადგილი აღარ არის თავისუფალი, რომ განისვენოს მუნ უფალმან. ამისთვის, ძმაო, თუ გსურს, რომ უფალი იყოს შენთანა, ხშირად უნდა ფიქრობდე მას ზედა, ხშირად უნდა წარმოიდგენდე ღვთაებრივსა მისსა ხატსა. ყოველთა ღვთის მოყვა-

ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

რეთა წმიდათა კაცთა ჰქონდა და ახლაც აქვს ის ჩვეულება, რომელ ერთს დღეს ვერ გაატარებდენ იგინი, რომ არ ეფიქრათ უფალსა იესო ქრისტესა ზედა და არ გაეხსოვნათ რომელიმე მისი სიტყვა და სწავლა. მათ ყოველთვის თან დაჰქონდათ სახარება ქრისტესი და ყოველ დილით და საღამოთი წაიკითხვიდენ თითოსა ანუ ორ-ორსა თავსა და მით გაალცხოველებდენ მათ გულში ხატსა ნაკხოვრისასა. შენ კი, ძმაო, არა თუ არა ზრუნავ, რომ იშოვნო სახარება და კითხულობდე მარად დღე, არამედ კვირაში ერთხელ რომ მოხვალ საყდარში იქაც ყურადღებით არ ისმენ მოკლე სახარების კითხვასა. სახარებაში არის, ძმაო, იესო ქრისტეს სული, სიყვარული და მადლი. სახარების კითხვას ესოდენი მადლი და მოქმედება აქვს კაცის გულზედ, რომ ხშირად თვით ურწმუნონი, განდრეკილნი და ქრისტეს წინაალმდეგნი კაცნი რომ წაიკითხვენ, იძულებულნი უნებლიედ აღიარებენ, რომელ იგი სწორედ არის სიტყვა ღვთისა და არა კაცისა, და თუ ესრეთი მოქმედება აქვს სახარებას გულთა ზედა თვით ურწმუნოთა კაცთასა, წარმოიდგინე რა მადლი და სარგებლობა მიეცემა კაცსა, რომელი სარწმუნოებითა და სასოებითა იწყებს კითხვასა მისსა. ამისთვს თუ გსურს, ძმაო ჩემო, რომ სული ქრისტესი მიეახლოს სულსა შენსა, ხშირად წაიკითხავდე სახარებასა ქრისტესსა. მაშინ შეიტყობ, რომ უტყუელ არს აღთქმა მისი: „აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა. ამინ“.

სული წმიდის გარდმოსვლა მოციქულებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები რედაქტორთან.

I.

მ. რედაქტორო!

წარსულის წლის «მწყემსი»-ს მეოც-და-ერთე ნომერში ვინმე მღვდელი გთხოვდათ თქვენ განგვმარტათ მისთვის შემდეგი: «უნდა გადასახოს მღვდელმა ჯვარი კუბოს, თუ არა?» ⁄ თქვენ ასე განუმარტეთ: «თუ არ სწერია, არც უნდაო». ერთი ეს, რომ ზემოხსენებულ სულიერ მამას არ უნდა მოეცა თქვენთვის ამ გვარი კითხვა, რადგანაც მის ახლო მეზობლებშიაც უთუოდ აღმოჩნდებოდა ამგვარ არა საძნელო კითხვის ამხსნელი მღვდელი, და მეორეც თქვენი განმარტება მართალი არ უნდა იყოს «თუ არ სწერია, არც უნდაო?» თუ ასე მოვიქეცით, მაშინ ხომ საღმრთო გარდმოცემა უნდა უარვყოთ. აბა ეხლა მეც ნება მომეცით, რომ გკითხოთ: ა) უნდა თუ არა ჯვარის გადასახვა სანოვაგესა ზედა მღვდლის მიერ მის მიღებამდე? ბ) უნდა გადასახოს თუ არა მღვდელმა ჯვარი ქრისტიანს, როდესაც იგი უახლოვდება მარჯვენას სამთხვევათ? ნუ თუ ამაზედაც მასვე გვიბრძანებთ: «თუ არ სწერია, ნურც გადასახავთო». თქვენმა განმარტებამ შეიძლება აფიქრებინოს საზოგადოდ, რომ რაც არ სწერია, არც უნდაო და ამ ნაირად ზურგი შეაქციონ საღმრთო გარდმოცემას, რაიცა ჩვენი სარწმუნოების წინააღმდეგი იქნება.—

მღვდელი გაიოზ ძიმისტარაშვილი.

პატივცემული გაიოზ ძიმისტარაშვილი შეცდომით ფიქრობს, რომ ჩვენ ვითომც იმას ვამბობდეთ, რომ რაც საღმრთო წერილში არ სწერია, იმას ნუ აღასრულებთ-თქო. ძიმისტარაშვილი ამბობს: «თუ ასე მოვიქეცით, უარი უნდა ვყოთ ზეპირ-გადმოცემასო". ყველა ზეპირ გადმოცემა საეკლესიო სახმარ წიგნებში თითქმის მთლად არის მოყვანილი და ჩვენც სწორეთ ამისთანა დაწერილების შესახებ ვამბობდით. ჯვარის გადასახვა და მრავალი ამისთანაები დაწერილნი არიან საეკლესიო წიგნებში.

რედაქტორი.

II.

მ.მ.ო. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთს „მწყემსში" ამ ჩემს წერილს. აპრილის 20 ს ამა წლისას შროშის მიძინების ეკკლესიის სამრეველოში მოხდა იშვიათი, არა ჩვეულებრივი შემთხვევა. გველესიანის მეუღლეს სოფელს სამებაში დაებადა ოთხი ბავშვი, ორი ვაჟი და ორი ქალი. მონათვლის შემდეგ ვაჟები დაიხოცნენ მეორე დღესვე, აპრილის 22 და ქალები კი ისევ ცოცხალნი არიან დღესაც. გთხოვთ განგვიმარტოთ თქვენის გაზეთის საშუალებით, თუ როგორ ჩავწეროთ მეტრიკაში ეს ბავშვები.

სამსონ ცქიტიშვილი.

ოთხივე ცალ-ცალკე უნდა ჩაიწეროს მეტრიკაში და მოიხსენიებთ დაბადებულთა ხაზში, რომ ერთ დღეს და ერთი დედისაგან არიან დაბადებულნი.

რედ.

შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ წერილები გაზეთში გამოსაცხადებლად შემდეგ პირთაგან:

1. მღვდლის მ. გიორგი აბულაძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემულის გაზ. «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა რწმუნებული ჩემდამო თხმელარის მაცხოვრის შტატის ეკკლესიის სამრეველოთაგანს, მნათეს თანაშემწეს, . გ. პავლე ბეჟანის ძეს ნინუას, რომელმაც კეთილ ისურვა და შემოსწირა ამავე ეკკლესიას 540 ოთხ-კუთხი საჯენი თვალსაჩინო ალაგი ეკკლესიის ეზოთ, ღირებული 160 მან., ⁄ ძველი ეკკლესიის შესაკეთებლად 20 მან., ხოლო განსაახლებლად ოცი მანეთი; სულ 200 მან.

2. მღვდლის მ. ნ. ბაკურაძისაგან:

«მ რ. რწმუნებული ჩემი მრევლი, სოფ. ხუმელგაში მცხოვრებნი, შეუდგნენ ახალი ეკკლესიის აშენებას, მაგრამ თავიანთი სიღარიბისა გამო უძნელდებათ ამისთანა ეკკლესიის აშენება, როგორი გეგმის ეკკლესიის შენებასაც ესენი შეუდგნენ. და რიგიანი ეკკლესია კი აუცილებლად საჭიროა ხუმელაგელებისათვის, ვინაიდგან ამ სოფელს გარს არტყია ქისტების და მაჰმადიან ოსების სოფლები. მე, როგორც ადგილობითი მღვდელი, მივიქეცი თხოვნით პატიჯცემულ მამა იოანნე სერგიევისადმი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ჩემს თხოვნას და ათი თუმანი (100 მან.) გამოიგზავნა ხუმელაგის ახალი ეკკლესიის დასახმარებლად. ამ შეწირულებისათვის უგულითადეს მადლობას უძღვნით მ. იოანნე სერგიევს, როგორც მე, ისე რწმუნებული ჩემი სამრევლო.

ი ს ყ ი დ ე ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭილაძეების, წერეთლების და ე. ბეტანეიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყ ვ ი ო ი ლ ა ბ ი—თვით გამომცემელთან.

1. საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლ ო ც ვ ა ნ ი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მოელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეია მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. ფმიდანები მაგი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ერცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. ოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრეველო და სხვა პირველ დასწყია სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იკიდე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებ-ს ნიშნებით—ფასი . . 50 კ.
3. დაწყებითი გაკეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ,
5. ღვთიელთათვის საიდუმლოების შესრულების ლოგოს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . 20 კ.
6. საქართველოს საეკკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კეკეხიის საექიმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაკარგვა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჩვენებური «ბატონები» და ექიმების ბაცალები და ბაქტერიები . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 25 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 კ.
3. შორ მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შორსი 5 კ.
4. ვთავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით . . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მძინარება ყოველად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—

6. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. მეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
2. ესთერი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
3. სიძრძნე ი-ო ძისა ზირაქისა, სურათით. . 5—
4. იოსები . . . . . 5—

7. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკლესიისა, შესანშინაენი საქართველოს მეფენი და დედოფალნი,

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესაძე აღმაშენებელი . 5—
4. თამარ მეფე, სურათით . . 5—
5. გიორგი მთაწმიდელი . . 10 კ.
6. იოანნე ზედაზნელი . . . 5 კ.
7. შუშანიკი . . . . . 3 კ.
8. ქეთევან დედოფალი . . . 2 კ.
9. არჩილ და ლეონასები . . . 5 კ.
10. მეფე დავით III აღმაშენებელი . 5 კ.

8. რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნები.

1. წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ეასილი დიდი, გრიგოლი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი, სურათებით—ფასი 5—
2. როგორ უნდა ემარხულობდეთ —ეასი . 3—
3. ცხოვრება წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკესა, ფასი . . . . 5—
5. სოკუდილი მართლისა, პანტოლეონ პილატეს მეუღლის წერილი . . . 5—

ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იფ-ფასი-ნი-ხატები ფიცარზე სამ-ოთხ გოგვანი ფასი 10 კ. ხატები არის: მაცხოვრის, ეკვრიის ღვთის-მშობლის, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ეს-ეც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცი ა, ოთხთ ჩვენ საქართველოში ყველგან ფოსტის გისაგზავნი ,არა გარდახდება ამასთან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინანი, საქართველოს განმანათლებელისა ეარაყით 8+7 გოგვანი ფასი 20 კ. ფოტო-ტიპითი დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოგვიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახეთ წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოსი 5 კ.

ეინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, ძ.ს ძალთზე დავთმობა 20 კ. ენც ორ კაპიკიან წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ა.ი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნა არ ეღირს.

იმექონება აგრეთვე ძველი პატარა გულსაკიდი ხატები ფერადფერადი ლითონისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებელისა, თამარისა, ანდია პირველ-წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ეინც ასს დაიბარებს ნ-ღდ ფულზე, მას ,ეგზავნით დავთმობა სამ მანეთად.ესეი იმექონებიან ეარცლიანაც, ფ. 40 კ.

11. მხატვრობანი სასულიერო და საერო მოდგვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი . . . 40 კ.
2. აკაკი წერეთელი . . . . 40 კ.
3. თაქარ ძეფე . . . . 40 კ.

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: სიმართლის ბრძოლა უსამართლოებასთან.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისა და მათი დაუტატების საყურადღებოდ.—ქართული გალობის მდგომარეობა.—შენდობა.—მუშის სიმღერა (ლექსნი).—

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ქეთილ ზნეობაზე. მოძღვარი ეკკლესიისა, გარყვნილი ცხოვრება ეკკლესიის მოძღვრისა არ უკეტავს მორწმუნეთ ცხოვნების გზას.—სიტყვა ამაღლების დღესა, თქმული განსვენებული იმერ. ეპისკ. გაბრიელის მიერ.

—წერილები რედაქტორთან.—შეწირულებანი და განცხადებანი.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. 13 мая* 1896 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананповыхъ, на Нѣмецкой ул.